შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

11.09.2019 წელი

ჯავახიშვილის ქუჩა №58ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესანარჩუნებელი ღონისძიებების შესახებ

კონსტრუქციული დასკვნა

კორექტირებული პროექტი

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2019 წელი

ჯავახიშვილის ქუჩა №58ა-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესანარჩუნებელი ღონისძიებების შესახებ

კონსტრუქციული დასკვნა (კორექტირებული პროექტი)

ჯავახიშვილის ქუჩა №58ა-ში მშენებარე საცხოვრებელი სახლის პროექტი შესრულებულია ორ ბლოკად. ბლოკი №1 წარმოადგენს ექვსსართულიან ნაგებობას, რომელიც განთავსებულია ეზოს უკანა ნაწილში ზომებით 32.62X12.4 მ. დაფუძნებულია ძირითად ქანებზე ბურღვა-დასატენი ხიმინჯების გამოყენებით და გააჩნია მიწისქვეშა სართული ავტოსადგომებისთვის.

ბლოკი №2 წარმოადგენს სამსართულიან ნაგებობას სარდაფის გარეშე, რომლის საძირკველი განლაგებულია მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. ამჟამად აშენებულია ბლოკი №1-ის ოთხი სართულის კარკასი.

მშენებარე ობიექტს ჯავახიშვილის ქუჩა №58-ის მხრიდან ესაზღვრება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის საკადასტრო კოდია 01.16.05.010.007 (საკადასტრო რუკის მიხედვით №1 ნაგებობა) და წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს. კედლები განხორციელებულია "რუსული" აგურით. საძირკვლები ჩაღრმავებულია 1.8 მ-ით.

ჯავახიშვილის ქუჩა №56-ის მხრიდან ესაზღვრება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი საკადასტრო კოდით 01.16.05.010.006. საკადასტრო რუკის მიხედვით უშუალოდ ესაზღვრება №7/2 ორსართულიანი და 1/1 ერთსართულიანი ნაგებობები. კედლები განხორციელებულია "ქართული" აგურით.

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები არსებულ შენობა-ნაგებობათა მდგარობის უზრუნველსაყოფად

ჯავახიშვილის ქუჩა №58-ის მხარეს საპროექტო შენობა მოცილებულია 3 მ-ით ისე, რომ არ ირღვევა მათ შორის დარჩენილი ბუნებრივი გრუნტის სტრუქტურა. შენობის დაფუძნება ხდება ძირითად (არაკუმშვად) ქანებზე ბურღვა-დასატენი ხიმინჯების გამოყენებით.

ჯავახიშვილის ქუჩა №56-ის მხრიდან უშუალოდ საკადასტრო რუკის №1/1 და №7/2-ის გასწვრივ მთელ სიგრძეზე გათვალისწინებულია ბლოკი №1-ის ფარგლებში დამატებითი ხიმინჯები (შპუნტები) დიამეტრით 600 მმ, რაოდენობით 7 ცალი.

ვიბრაციული დატვირთვების თავიდან ასაცილებლად ხიმინჯების მოწყობა გათვალისწინებულია ხელით.

სამუშაოთა შესრულების თანმიმდევრობა

I ეტაპი – სრულდება ხიმინჯების მოწყობა ქვაბულის ამოღების გარეშე.

II ეტაპი – ქვაბულის დამუშავება საპროექტო დონეზე და შენობის როსტვერკის ფილის მოწყობა.

ყველა უშუალოდ მომიჯნავე შენობებზე დაყენებულია “ყალაურები”, რომელსაც ზედამხედველობას უწევს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

დასკვნითი ნაწილი

1. ფარული სამუშაოების აქტების გადამოწმების შედეგად ჩანს, რომ სამუშაოები შესრულებულია პროექტში მითითებული თანმიმდევრობით;
2. მომიჯნავე შენობებზე დაყენებული “ყალაურების” დაკვირვების აქტის გადამოწმებიდან ჩანს, რომ ცვლილებები არ არის;
3. ჩემი 45 წლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე თბილისის ძველ უბნებში არსებული შენობების დაზიანებები გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების, კერძოდ “ჟოლობების” უფუნქციობით. პროექტის არქიტექტურულ ნაწილში არსებულ და მშენებარე შენობებს შორის დატოვებულია სივრცე წყალსადინარების გასატარებლად და საკონტროლოდ, რომლის კონტროლიც მოხდება არსებული შენობების სახურავებიდან;
4. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საპროექტო დოკუმენტაცია და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით და ვაძლევ რეკომენდაციას დასასრულებლად და ექსპლუატაციაში გადასაცემად.

ექსპერტი კონსტრუქტორი ზ.სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.